ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 3 14 26/03/2020

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N 2752 დადგენილების შესაბამისად:

1. დამტკიცდეს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები წარმოდგენილი დანართის შესაბამისად.

2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში ახალქალაქის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალქალაქი, მ.მაშტოცის ქ. №110)

ნაირი ირიციან

საკრებულოს თავმჯდომარე